საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# ბრძანება №6/15

ქ.თბილისი

„16“ მარტი 2017 წ

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინტერნეტ რესურსის გამოყენების თაობაზე**

„მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) აპარატის ქსელური უსაფრთხოებისა და ქსელის არამიზნობრივი გამოყენებისგან დაცვის მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ტექნიკურად შეიზღუდოს ვებ რესურსებთან წვდომა, რომლებიც:
   - 1.1. იწვევენ კომისიის აპარატის ინტერნეტ ტრაფიკის გადატვირთვას;
   - 1.2. ქსელური სენსორის მიერ აღქმული იქნება, როგორც რისკის შემცველი;
   - 1.3. ემსახურება ონლაინ ან აზარტულ თამაშებს ან ფაილების ჰოსტინგს;
   - 1.4. წარმოადგენს ე.წ. „warez“ საიტებს;
   - 1.5. ვებ რესურსებიდან შესაძლო საფრთხის შემცველი გაფართოების ფაილების გადმოტვირთვა (მაგ.: vb, vbs, vbe, pif, cmd, ws, wsc, wsf, bz, bz2, src, bat, shm, hlp, lnk, exe, dll, reg და ა.შ.);
   - 1.6. P2P სერვისები, რომელიც განკუთვნილია დიდი მოცულობის ფაილების ატვირთვა-ჩამოტვირთვის;
   - 1.7. პროქსი სერვერების გამოყენებით წვდომა შეზღუდულ ვებ-რესურსებთან.
2. ინტერნეტ რესურსზე სრული დაშვება მიენიჭოს:
   - 2.1. კომისიის წევრებს;
   - 2.2. კომისიის აპარატის ადმინისტრაციის, დეპარტამენტისა და სამსახურის უფროსებს და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს;
   - 2.3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს.
3. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტსა და სამართლებრივ დეპარტამენტს მიენიჭოს ტელე და რადიო მაუწყებლობის მქონე ვებ-გვერდებზე სრულყოფილი წვდომა.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.
6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღლონტი).

კომისიის თავმჯდომარე — ვახტანგ აბაშიძე